განმარტებითი ბარათი

ქ.თბილისში, ვაკე საბურთალოს რაიონში, კეკელიძის და შატბერაშვილის ქუჩების მიმდებარედ (ნაკვ. №003/062), საცხოვრებელი კომპლექსის (ჯგუფის) I რიგის ასაშენებლად სპეციალური ზონალური მოსაკრებლის

ანგარიში

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად ტეიტორია წარმოადგენს განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას სზ-2 დადგენილი კოეფიციენტებით კ1=0,4; კ2=1,3.

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად ქ. თბილისის მერის №2841 2011წლის 12 დეკემბრის განკარგულებით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=2;

იმის გამო, რომ გეგმარიბითი და ტექნიკური მოსაზრებებით (იხ. პროექტის განმარტებითი ბარათი) შესაძლებელი არმოჩნდა I რიგის მშენებლობის V ბლოკზე მხოლოდ ერთი სართულის დამატება, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2 გაიზარდა 1,6–მდე. შესაბამისად გიდგენთ სპეციალური ზონალური მოსაკრებლის ანგარიშს აღნიშნულის გათვალისწინებით. ამასთან, გთხოვთ განიხილოთ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კ2 კოეფიციენტის 2-დან - 1,6–მდე შემცირების საკითხი.

გადასახდელი თანხა იანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$L/K_2[K'_2-(k_2+20\%\ შეღავათი)]xS$

სადაც, L - მიწის ნორმატიული ფასი 1კვ.მ-ზე.

K_2 - მიწის ნაკვეთისთვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი.

K'_2 - მიწის ნაკვეთისათვის (ტერიტორიისთვის) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი.

S - მიწის ნაკვეთის ფართი.

255/1,3x[1,6-(1,3+0,26)]x6515=51 117,69

წლის განმავლობაში ყოველთვიური გადასახადი შეადგენს - 4260 ლარს.

პროექტის მთავარი არქიტექტორი გ. მარსაგიშვილი